



7183-01-4-2-201906271712



N 01-4/7183

27/06/2019

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ გიორგი მიქაუტაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ
საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემაზე. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილი აქვს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესზე დამკვირვებელი ორგანიზაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას.

1. ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 31 მაისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტმა, ოლღა შერმადინმა #04-971 განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და გამოითხოვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე საბჭოში შესული ყველა განცხადებისა და განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, თეა ჯაფარიძის 2019 წლის 13 ივნისის №751/14488-03-ო წერილით, ოლღა შერმადინს ეცნობა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და ამ გარემოებაზე მითითებით, არ მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. სამართლებრივი დასაბუთება:

2.1. ზოგადი პრინციპები და დებულებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი განმარტების თანახმად, „საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის გაცნობის უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური და აუცილებელი წინაპირობაა. მისი მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე კონკრეტულ ინდივიდთათვის საინტერესო ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა.“¹ ამ უფლების სათანადოდ დაცვა „ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ამაღლებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. ღია მმართველობის პირობებში სახელმწიფო ორგანოებს/თანამდებობის პირებს აქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, მათი საქმიანობა გადამოწმდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ და გადაცდომების აღმოჩენის შემთხვევაში დაექვემდებარონ როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას.“²

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო ინფორმაციის თავისუფლებაზე მიღებულ ბოლო გადაწყვეტილებაში უთითებს, „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ინფორმირებული მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო თუ ადგილობრივი საკითხების განხილვასა და განხორციელებაში. ეს ყოველივე ემსახურება, საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საზოგადო მიზანს - საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისა და სახელმწიფო საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფას. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირებს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ და მიიღონ საჯარო დაწესებულებაში დაცული მათთვის საინტერესო ინფორმაცია.“³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ღია მმართველობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევების (მაგალითად, კორუფცია, ნეპოტიზმი, საბიუჯეტო

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა) პრევენციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსავლენად.⁴

2.2. კონსტიტუციური სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი უშუალოდ შეეხება საჯარო დაწესებულებებში დაცულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის საკითხს და მიუთითებს:

„ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.“

ნათელია, რომ საქართველოს კონსტიტუცია პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უპირობო საფუძვლად მიიჩნევს აღნიშნული პირის თანხმობას. თანხმობის არარსებობა არ გამორიცხავს ინფორმაციაზე წვდომას იმ პირობებში, როდესაც იკვეთება საჯარო ინტერესები, სხვათა უფლებები და ა.შ.

ამ კონტექსტში, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, „მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ადრე არსებული პრაქტიკით, ინფორმაციის თავისუფლების დასახელებული კონსტიტუციური დებულებით დაცული სფეროდან გამორიცხული იყო საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც უკავშირდება პირის კერძო საკითხებს. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის დებულება, რომელიც ადგენს უფლებას, რომ მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ გახდეს პირის კერძო საკითხების შესახებ არსებული ინფორმაცია, „არ მოითხოვს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, სრულად დახურული უნდა იყოს. პირიქით, ამავე კონსტიტუციურ დებულებაში მითითებულია ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე - კანონით დადგენილ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია „სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“. შესაბამისად, შესაძლებელია, ეს უფლება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავადაც შეიზღუდოს“.⁵ ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია პირის უფლება, მიიღოს

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5.

⁵ (1) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10. (2) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10

ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული, მათ შორის, ისეთი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სხვა პირის ჯანმრთელობას, ფინანსებს ან სხვა კერძო საკითხებს.⁶

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა სახეზეა მაშინ, როდესაც სადავო ნორმები ზღუდავს სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე, მათ შორის, სხვა პირის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.⁷

2.3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი და გამჭვირვალობის პრინციპი

2.3.1. კანონში შეტანილი ცვლილების წინაისტორია

გამჭვირვალობა სასამართლო სისტემის ფუნქციონირების მიმართ მოქალაქეთა ნდობის განმსაზღვრელი არსებითი ფაქტორია და ასევე წარმოადგენს გარანტიას პოლიტიკური ზეგავლენის, მართლმსაჯულების სისტემის შიგნით პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობის, საკუთარი ინტერესების დაცვისა და კრონიზმის საფრთხეების წინააღმდეგ.⁸ კანდიდატების შერჩევის გარემოებებთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს აბსოლუტური გამჭვირვალობა იმისათვის, რომ თავად მოსამართლეები და საზოგადოება დარწმუნდნენ დანიშვნების ექსკლუზიურად კანდიდატის დამსახურებაზე დაყრდნობით განხორციელებასა და კანდიდატის კვალიფიკაციას, უნარებს, კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობის განცდას, მიუკერძოებლობასა და ეფექტიანობაზე დაფუძნებაში.⁹

ვენეციის კომისია თავის მოსაზრებაში ცალსახად განასხვავებს, ერთის მხრივ, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის პარლამენტისათვის მიწოდებას და, მეორეს მხრივ, ამ ინფორმაციის გასაჯაროებას, რაც დაედო კიდევ საფუძვლად კანონპროექტში დამატებითი ცვლილებების განხორციელებას. „[...] პროცედურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული კანდიდატის დამსახურების შესახებ ინფორმაცია და კვალიფიკაცია ხელმისაწვდომია პარლამენტისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის უმაღლესი შესაძლებელი მოცულობით იმისათვის, რომ მოხდეს პარლამენტის მოტივირება კენჭისყრა დააფუძნოს პროფესიულ დამსახურებას, ნაცვლად პოლიტიკური პრეფერენციებისა და ა.შ.“¹⁰ თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვენეციის კომისია გასაჯაროების საკითხს დამატებით იმეორებს დოკუმენტის იმ ნაწილში, სადაც **ძირითად** რეკომენდაციებს ჩამოთვლის და კონკრეტულად ინფორმაციის გასაჯაროების (და არა ვიწროდ, მხოლოდ პარლამენტისათვის მიწოდების) მნიშვნელობაზე საუბრობს: „კანდიდატების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა გახდეს საჯარო“.¹¹ ვენეციის კომისიის

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

⁷ იქვე, II-11.

⁸ ევროპელი მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მოსაზრება #10 (2007), 91-ე პარაგრაფი.

⁹ იქვე, 50-ე პარაგრაფი.

¹⁰ ვენეციის კომისიის სასწრაფო მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნასთან დაკავშირებით, 2019 წლის 16 აპრილი. 57-ე პარაგრაფი.

¹¹ იქვე, 67-ე პარაგრაფი.

სწორედ ამ რეკომენდაციის შემდეგ ასახა პარლამენტმა კანონპროექტის ტექსტში კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების გასაჯაროების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი უშუალოდ იყო ჩართული კანონპროექტის პარლამენტში განხილვის პროცესში და უშუალოდ ეცნობოდა მასში შეტანილ ცვლილებებს. კანონპროექტზე გამართული დისკუსიები და განხორციელებული შესწორებები არაორაზროვნად მიუთითებენ კანონმდებლის ნებას შერჩევის პროცესში მონაწილე პირების მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების გასაჯაროებასთან დაკავშირებით.

2.3.2. თანხმობა, როგორც შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის წინაპირობა და პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის საფუძველი

ხაზგასასმელია, რომ წინამდებარე რეკომენდაცია შეეხება სწორედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე პირთა მიერ წარდგენილ განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს და მათზე ხელმისაწვდომობის რეჟიმს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმას და თანდართული დოკუმენტების ნუსხას.“ აღნიშნული განცხადების ფორმა და დოკუმენტაციის ნუსხა საბჭომ 2019 წლის 6 მაისს მიღებული #1/41 გადაწყვეტილებით დაამტკიცა. შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირების მიერ საბჭოში კანონის შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტები შესაძლოა შეიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებსაც, როგორებიცაა: „პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა“ (პოლიტიკური შეხედულებებისა და პროფესიული კავშირების წევრობის კრილში), „ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“, ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ ინფორმაცია („ყოფილხართ თუ არა სახდელდადებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის (დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)“) და სხვა.

2019 წლის 1 მაისის ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანამდე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი განსაზღვრავდა კანდიდატების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და უთითებდა: „თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.“ ამ რეჟიმით, უზრუნველყოფილი იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. თავის მხრივ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი შესაძლებლად მიიჩნევს მონაცემთა დამუშავებას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის არსებობისას. 2019 წლის 1 მაისის ცვლილებით კი, უზრუნველყოფილ იქნა დამატებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით დაცულ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა ორგანული კანონის ძალით, ერთადერთი გამონაკლისით, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობას შეეხება და რეგლამენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34² მუხლის მე-4 პუნქტში. 2019 წლის 1 მაისის ცვლილებებით.

მითითებული გამონაკლისის გარდა, ბოლოდროინდელი ცვლილებებით, ყველა სხვა ინფორმაცია უპირობოდაა ხელმისაწვდომი.

2019 წლის 1 მაისის საკანონმდებლო ცვლილებაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-2 პუნქტში ცალსახად მიეთითა: „პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები (მათ შორის, ავტობიოგრაფია) უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას მის მიერ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე, აგრეთვე პირის თანხმობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) ამ კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისთვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე.“ შესაბამისად, სწორედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის წინაპირობაა შესაბამისი თანხმობის არსებობა, რაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2019 წლის 6 მაისს მიღებული #1/41 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განცხადებას თანდართული დოკუმენტების ნუსხის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო ფორმით. აქვეა მოცემული კონკრეტული ფორმულირება ტექსტისა, რომლიც ასახული უნდა იყოს შესაბამის სანოტარო აქტში:

„თ) კანდიდატის სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობა ინფორმაციის მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისათვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე შემდეგი სახით:

[...]

კონფიდენციალურობა

ვეთანხმები და ვადასტურებ ჩემი განცხადის მხარდასაჭერად წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების, ისევე როგორც საბჭოს მიერ გამოკვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციის, ასევე სხვა პირებისა თუ დაწესებულებების მიერ საბჭოსათვის გადაცემული ინფორმაციის საქართველოს პარლამენტისათვის გადაცემას/გასაჯაროებას.“

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან მის აპარატს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე 144 პირთან მიმართებაში არ გამოუკვეთიათ, რომ აღნიშნული თანხმობა რომელიმე მათგანს წარმოდგენილი არ ჰქონდა. შესაბამისად, სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ პროცესზე დაკვირვების შედეგებით, ასეთი ტიპის თანხმობა წარდგენილი ჰქონდა პროცედურაში მონაწილე ყველა, 144-ივე პირს და შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ამ დოკუმენტის წარმოუდგენლობა არ გამხდარა პირის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა პირს უკვე გამოხატული აქვს თანხმობა მათ მიერ საბჭოსათვის მიწოდებული ინფორმაციის გასაჯაროებაზე. როგორც ორგანული კანონი, ასევე განცხადების ფორმა და თანხმობის ტექსტი ერთმანეთისაგან მიჯნავს ინფორმაციის პარლამენტისათვის გადაცემასა და აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროებას, რამეთუ ინფორმაციის მხოლოდ პარლამენტში წარდგენა თავისთავად არ გულისხმობს მის ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვის გზით, შერჩევის პროცესის უფრო ადრეულ ეტაპზე. სამწუხაროდ,

ორგანულ კანონსა და განცხადების ფორმაში მითითებული და თანდართული დოკუმენტაციის სახით მიწოდებული თანხმობა **გასაჯაროებაზე** იგნორირებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, პროცესზე დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის პროცესში.

პარლამენტის მიერ ამა წლის 1 მაისს მიღებულმა ცვლილებამ თანხმობის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრით, უზრუნველყო პროცესების გარკვეული ხარისხით გამჭვირვალობა იმ პირობებში, როდესაც თავად კენჭისყრა ფარულია, თითოეულ ეტაპზე კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ საბუთდება და არ საჩივრდება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვასთან დაკავშირებით კი, კანონპროექტზე მსჯელობისას, არაერთი რეკომენდაცია იქნა წარმოდგენილი როგორც ვენეციის კომისიის, ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის მიერ.¹²

2.3.3. თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის საფუძვლები

ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, კანონმდებელმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილეობისათვის სავალდებულო სახით უზრუნველყო თანხმობის გაცემა იმ მიზნით, რომ შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უპირობოდ ხელმისაწვდომი ყოფილიყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი თანხმობა საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებული არ იქნებოდა, იარსებებდა პერსონალური მონაცემების გაცემის საფუძველი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული საჯარო ინტერესისა და სხვათა უფლებების დასაცავად.

დასკვნა:

ამდენად, მიმაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის საბჭოს უარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსათვის“ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე საბჭოში შესული ყველა განცხადებისა და განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასლების მიწოდებაზე, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არღვევს დამკვირვებელი ორგანიზაციის უფლებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, დააკმაყოფილოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტის, ოლღა შერმადინის მოთხოვნა და უზრუნველყოთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების

¹² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის დასკვნა ცვლილებების პროექტზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, 2019 წლის 17 აპრილი.

შერჩევის პროცესზე დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე საბჭოში შესული ყველა განცხადებისა და განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასლების მიწოდება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

